

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1613

ქ. ბათუმი, 04 ოქტომბერი 2017 წ

„ქ. ბათუმში, გორგილადის ქ. №91-ის მიმდებარედ 30,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მირათი“-სათვის აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 აგვისტოს N978 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„ქ. ბათუმში, გორგილადის ქ. №91-ის მიმდებარედ 30,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მირათი“-სათვის აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 აგვისტოს N978 ბრძანებით შპს „მირათს“ (საიდ/კ 245630642) პირდაპირი განკარგვის წესით აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგილადის ქ. N91-ის მიმდებარე 30,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 05.23.12.038). ბრძანების მე-10 პუნქტით განისაზღვრა, რომ თუ კანონმდებლობით დაწესებულ ვადაში არ მოხდებოდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება, ბრძანების შედეგები გაუქმდებოდა.

შპს „მირათი“-ს დირექტორს შოთა ფუტყარაძეს მითითებული ბრძანება ჩაბარდა 2017 წლის 31 აგვისტოს და ეთხოვა საჯარო რეესტრში შესაბამისი სარგებლობის ხელშეკრულების გასაფორმებლად გამოცხადება, ასევე განემარტა (არაერთხელ) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში ხელშეკრულების გაუფორმებლობის სამართლებრივი შედეგები, თუმცა შოთა ფუტყარაძემ უარი განაცხადა ხელშეკრულების ხელმოწერაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 234-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აღნაგობის უფლების წარმოშობის მიმართ გამოიყენება უძრავი ნივთის შემენის წესები. შესაბამისად, აღნაგობის უფლება წარმოიშობა საჯარო რეესტრში რეგისტრაციის გზით.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შემთხვევაში, სარგებლობის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. ბათუმში, გორგილაძის ქ. №91-ის მიმდებარედ 30,0 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „მირათი“-სათვის აღნაგობის უფლებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 16 აგვისტოს N978 ბრძანება.
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს შპს „მირათი“-ს.
3. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე (10 დღის ვადით).
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი